სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის შტაბის რეკრეაციის ცენტრის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.ეს დებულება განსაზღვრავს სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის (შემდგომში – აკადემია) შტაბის რეკრეაციის ცენტრის (შემდგომში – რეკრეაციის) უფლებამოსილებას, ანგარიშვალდებულებას და აწესრიგებს სამმართველოს საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

2. რეკრეაციის ცენტრი შედის აკადემიის სტრუქტურული ერთეულის - შტაბის შემადგენლობაში.

3. რეკრეაციის ცენტრი თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, აკადემიის წესდების, წინამდებარე დებულებისა და რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

4. რეკრეაციის ცენტრი ანგარიშვალდებულია აკადემიის რექტორისა და რექტორის მოადგილე-შტაბის უფროსის წინაშე.

მუხლი 2. რეკრეაციის ცენტრის ამოცანები და ფუნქციები

ა. აკადემიაში გამართული ღონისძიებების მასპინძლობა, საჭიროების შემთხვევაში;

ბ. მასზე რიცხული ქონების მოვლა პატრონობა;

გ. ცენტრის მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგება და სისუფთავის კონტროლი.

მუხლი 3. დებულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა აკადემიის აკადემიური საბჭოს დადგენილებით.